საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: ჩემსა კეთილსა ხოლო თვისი დაესდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვითარ ცხოვარი ჩემი წაწყმედული. ეძიერთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-ძძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11 28).

№ 17 1883—1896 15 სექტემბერი

გაზეთის ფასი:

	„მწყემსი“	„მწყემსი“ რუსული გამოცემით
12 თვით	3 მან.	5 მან.
6 —	2 —	3 —

ფულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ აღრესით: *Въ Кваирилы, въ редакцію „Мцкемси“ и „Пастырь“.*

ყველა სტატიები და კორრესპოდენციები, რომელნიც-იქმნებიან დასაბეჭდავად გამოგზავნილნი, ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულს ენაზე დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

ერთი უბედური და ხალხის დამლუპველი ჩვეულება.

ჩვენი ხალხი ძველიდგანვე განთქმული და ნაქები იო როგორც სტუმრის მოყვარე და ჰურ-ღვინით საგსე. ღმერთი ხელს უწყობდა ქართველებს, და ჰურ-ღვინო ყოველთვის უხვად ჭქონდათ, მაგრამ დღეს დრო შეიცვალა და საჭიროა დროის მოთხოვნილებას ეურადღება მივაქციოთ. ძველ დროში, მართალია, ჰატიკობა და სტუმრობა უყვარდათ, მაგრამ მაშინ ოყველი კაცი ცდილობდა ერთმანერთის ჰატივისცემას. ერთხელ რომ დაგიპატიჟნა კაცი, მეორეთ შენთან აღარ მოვიდოდა, თუ შენც არ ეწვეოდი და ნაცვალ ჰატივისცემას არ მიიღებდი მისგან. ერთი სიტყვით, ვისაც რა ჰატივსა სცემდი, იმასვე მოგიზღავდენ. ამისაოვის სტუმრათ დაპატიჟებული იქნებოდენ,

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ დაუჭატიჟებლები, მაინც ზარალი არ ეძლეოდა მასპინძელს. დღეს? დღეს სულ სხვას ვხედავთ. ზოგიერთებს სახლში რომ შემოაკლდებათ ჭურ-დვინო, აადერენ თავს და ძალაუნებურად ქსტუმრებიან კაცს და სანამ არ შეუჭამენ ყველაფერს, არ შორდებიან! წარმოიდგინეთ, დღეს იქსამდისინ დაკარგვიათ სვინიდისი ზოგიერთებს, რომ მთელი ხიზნით შეესტუმრებიან კაცს და ბოლოს საქმე იქნამდისინ მისულა, რომ სანამ სახლის ჰატრონები არ გაშორებიან სახლს, ვერარ მოუცილებიათ ეს ძალად შესტუმრებულნი!.

ერთი ჩვენი სამზღვარგარეოელი კორრესპონდენტი აგვიწერდა ამას წინეთ შვეიცარიის და საზოგადოთ უცხოეთ ხალხთა ჩვეულებას სტუმრობის შესახებ. ის ამბობდა, რომ სადილის დროს ვინც უნდა ვისთან მივიდეს, არ შეიძლება, რომ სადილი აჭამონო. ეოველ კაცს დილიდგან გამზადებული აქვს იმდენი, რამდენიც საკმარისია თავისს გამოსაკვებავად და სხვებზე ისინი არ ფიქრობენ. სწორეთ ძმეენიერი ჩვეულებაა! ქართველ კაცს ეს, რასაკვირველია, არ მოეწონება. არ მოეწონება მისთვის, რომ თვითონ ზოგიერთი თავისს სასმელ-სჯეულზე სრულებით არ ფიქრობს იმ აზედით, რომ დღეს ერთთან მივა გასაძღომად, ხვალ მეორესთან, ზეგ მესამესთან და ასე დაიარება და სხვისას იკვებება. სრულებით არ დასდევს შენი ოჯახის მდგომარეობას. ჯეშმარიტად ამისთანა მუქთა-ძჯამელ ხალხს უურადღება უნდა მიაქციოს საზოგადოებამ და გაბედულად ამხილოს იგინი...

ამისთანა მუქთამჯამლებისთვის იმერეთში სასისარულოა რომელიმე გარდაცვალებულის გამოტირილის დღის გაგება. რამდენსაც გამოტირილზე ჯირისუფლნი დაჰატიჟებენ, იმაზე ორჯელ მეტი მოვა. გაივსება გარდაცვალებულის ეზო ხალხით. შეიქნება ერთი უშველებელი არეულობა. ერთი ჰირი ხალხისა გარდაცვალებულს სტირის იმერულათ, ზარით. მეორე გროვა ხალხისა ჭურის საჯეელად სხდება და არის ერთი სიცილი, ხუმრობა და დაცინვა ზოგიერთ მომტირალთ ნაკლულევანებისა. მესამე გროვა ხალხისა მიეტეზავრება შინ. ჯურები თავ-ასდილია და ორშიმოებით იდებენ დვინოს და ეხრაპვებიან. ერთი სიტეეით, კარგად რომ ჩაკვირდეთ ხალხის საქციელს გამოტირილზე, იფიქრებთ, რომ ეგზეკუტია ჩაუვენებიათ გარდაცვალებულისათვის და მისი ოჯახის აოხრება სურთო...

ძველ გამოტირილს ეხლანდელი გამოტირილი სრულებით აღარ გავს. ძველ დროში გადასახურავი იცოდენ; დღეს ამას ეველნი მტკიცეთ არ ასრულებენ. წინეთ გლოვის დღეს სამარხოს, ლობიოს მეტს შესაჯამად არ სმარობდენ, დღეს თევზი ერთი სამი მეტი ეხარჯებათ და ზოგან ხარებსა და ძროხებსაც სოცვენ. ერთი სიტეეით, კაცი გარდაიცვლება თუ არა, მისი ჯირისუფლნი ვალში ვარდებიან და ამ ვალიდან ვეღარ გამოდიან...ქრისტიანული მოვალეობა კი გარდაცვალებულისა სულ დატოვებულია. თვითონ ჩვენი სამდვდელოება არის დაძნაშავე, რომ ხალხისათვის ვერ ჩაუგონებია და ვერ მოუშლეენია ეს ძიმდუჰეელი ჩვეულება. მაგრამ, სასისარულოდ, ზოგიერთი შეგნებული ჰირები მაგალითს უჩვენებენ ხალხს, რომელ მაგალითსაც დიდი გავლენა უნდა ექნეს საზოგადოდ ხალხზე. ამისათვის სიამოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებით მიეცით ჩვენ ადგილი შორაპნის მაზრიდან გამოგზავნილ კორრესპონდენციას შესახებ ბ. ვ. ჩხეიძის დასაფლავებისა. დიერთან ინებოს, რომ აზ. ბ. ჩხეიძის და მისი მეძეგიდრის საქციელისათვის მიებაძოს სხვებსაც და ნაცვლად ხალხის სხვა და სხვა დამდუბველი, მავნებელი ჩვეულების ასრულებისა განსვენებულზე ქრისტიანულ ჩვეულებას მისცემოდეს ადგილი. დარწმუნებული ვართ, რომ ამ დამდუბველი ჩვეულების მოსპობა დიდ წარმატებას მისცემს ჩვენს ხალხს ნივთიერად და ნაცვლად ამოო, სამარცხვინო ჩვეულებათა ჭეშმარიტი ქრისტიანული ჩვეულება დამეარდება.

დეკ. დ. ღამბაშიძე

---

† აზნაური ბეჟან ვ. ჩხეიძე.

ოთხ ამ სექტემბერს ალავერდის წმიდის გიორგის ეკლესიაზედ დასასფლავეს ერთი კარგა დრმად მოხუცებული აზნაური ბეჟან ვასტ. ჩხეიძე. ტირილის დღეს იმოდენა ხალხის ბრბოვს ვერ ნახავდით ამ განსვენებულის ეზოში, როგორც ჩვეულებრივ შესვდებით ეველგან გამოტირილზე. აქ თავი მოეყარათ მხოლოდ განსვენებულის ნათესავებს და დაახლოებულ ნაცნობებს. არ გაისმოდა ზარის ხმა და არც ფარისეველური ტირილი და ჭეანვა ხალხისა, ვითომდა ტირის იგი. კუბოსთან იდგენ შემოსილნი მდედელნი და მოზარეების მაგიერ მგალობლები გალობდენ წესის აგების სმლისაბერებს. წესის აგების გათავებისას გამოთხოვებამდისინ ალავერდის ეკლესიის მდვდელმა ალექსანდრე არდიშვილმა წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა:

„ნეტარ არს გზა, რომელსა წარმართოთ ბჟარ, რამეთუ ადგილი განსასვენებელი მიგელის შენ“.

„სურს უფალსა სული მართალთა, რამეთუ საუკარელ არიან საუოფელი მისი ცაოა შინა“.

განსვენებული მონის ბეჟანის ამაო ამა სოფელისაგან მიძინება და საუკუნო ცხოვრებაში მართალთა თანა შეერთება, ეჯდ მოწყალე დვთის დანიშნულებისა მებრ, არა საკდემელ არს ჩვენდა, ძმანო, მით უმეტეს რომ განსვენებული თავითგან დაწყებული პატიოსანი ცხოვრებით თითქმის საუკუნეს დაუახლოვდა და ამ უკანასკნელ დღეს, დვთის განჩინებით ჩვენ თვალ წინ მდებარე არის უძრავათ და უსულოთ ხელ გულზედ დაკრებილი, ბაგე დახშული და სახმენელ დადუმებული. ჩვენ წინ ძევს მარტო უსულო გვამი განსვენებულისა და ცოტა ხნის შემდეგ სრულებით დაითარება მიწისაკენ, მაგრამ არ დაითარება მისი კეთილი საქმენი, ჭეშმარიტი ქრისტიანობა, რომელიც ასე შესაძრნევი იყო ამ ჩვენს სარწმუნოების გულცივობის დროს.

მუდრთოთ ცხოვრებდა განსვენებული. დიდითგან უკანასკნელ გლეხადმდე გულ-ანდილი პატივის მცემელი და შემწე იყო, გაჭირვებულთ შემბრალე. ზოგნი გაჭირვებულნი თითქმის განსვენებულის საშვალებით ასაზრდოებდენ ცოლ-შვილს.

ამ გვარი მიმართულებით განსვენებული იყო ჭეშმარიტი ქრისტიანე. მას უყვარდა მოსმენა წირვა-ლოცვისა და თვით საღმრთო წერილის კითხვა.

წირვა-ლოცვაზე სიარულისათვის ვერ აბრკოლებდა მას თოვლი, ქარ-ბუქი, ვერც მწვავნი სიცხენი, ვერც ოჯახურნი საჭიროებანი და ვერც სისუსტე მოხუცებელობისა. ქრისტიანობის წესის მოვალეობის მტკიცედ აღსრულებაში, წმინდა ბარძიმის კანონიერად დაცვით და საღმრთო ლოცვების აღსრულებით, საღმრთო წერილის კითხვა-ლოცვით შესანიშნავი იყო იგი ყოველთვის.

სიცოცხლე ჩვენი არის, ძმანო, დროებითი და მსწრაფელ წარმავალი. სხეული ჩვენი არის საჴურობილე სულისა, რომლისაგან იგი აღრე თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვიან განთავისუფლდება. არა სურვილისა მებრ ჩვენისა, არამედ უ-ფ სახელისა ღვთისა განჩინებით. ნუ ვიქმნებით უსასო მწუხარენი, «ვითარცა იგი სხვანი, რომელთა არა აქვსთ სასოება, სარწმუნოებ და სიუვარული მაცხოვრისაა».

ბევან ვ ხტანგის ძე ჩხეიძე არის უფლისა თ-ნა, გვრწამდეს განჩინება ესე, ვქმნეთ საქმენი კეთილნი, სათნონი ღვთისა, რომელიცა დაუმგიდრებენ მიცვ-ლებულსა ამას ზეცათა სასუფეველსა.

აწ სარწმუნოებითა, სასოებითა და სიყვ-რულითა ღვთისათა ვსთქვათ: მშვიდობით, პატ-ოსანო მოხუცო! მშვიდობით ვ დრე შეერადმდე ერთათ ს-ეფოელთათანა ღვთისათა, მშვიდობით, უფალი შენთან იყოს.

გამოეთხოვენ ყველანი განსვენებულს და შემდეგ ცხედარი საფლავს მიაბარეს ნაშუადღევის სამს საათზე.

არ იფიქროთ, მკითხველო, რომ განსვენებულს ბევან ჩხეიძეს იმედენი არ დარჩენოდეს და იმის მეძვიდრეს ეც არ შეეძლებოდეს, რომ ჩვეულებრივად ათას სუთასი კაცი მოეწვია განსვენებულის დაბარსვის დროს. არა, განსვენებული სიცოცხლეში წინააღმდეგი იყო ისეთი უბრალო და უმნიშვნელო სარჯისა, რომლის წყალობით მრავალნი დიდ ვალში ვარდებიან და რაც კი რამ გადარჩენიათ გამოტირილის დროს, ხელიდან ეცლებათ. განსვენებულს ეოველთვის სასირცხოდ მიაჩნდა ფარაჯეველური ჯენაზა-ტირილი იმისთანა კაცების, რომელთაც განსვენებული არც კი უნახავსთ სიცოცხლეში. გახსენებულმა დაიბარა, რომ იგი არ დაემარხათ იმ ბევლი კერპთაუვანის ტეტურ ჩვეულების ტირილით, როგორც ასრულებენ საზოგადოდ იმერეთში შეუცვლელად და მტკიცედ, ამასთან არაფისკენ არ მიუღიათ გადასახურავი, თუმცა განსვენებულს ბევრზე ქონდა ტემული გადასახურავი და არა მცირეც.

საბეკვარი სიკვდილი.

სიკვდილი ბუნებითი, უარყოფნოებითი და ქრისტიანული.

(რუსულიდგან).

(გაგრძელება *).

ნერონი მიეცა თავ-აშვებულ ქეიფებს, საზიზღარ გარყვნილებას და ვარს შემოიხვია სამარცხვინო პირები. მაგრამ რომის ქალაქში საპირო იყო სიბრთხილეც. შესაძლო იყო გამოჩენილიყვნენ არამც თუ უკმაყოფილონი, არამედ საშიში მეტოქენიც; საშიში იყო შეთქმულობა, ტახტიდან ჩამოგდება და ამასთანავე, რასაკვირველია — სიცოცხლის მოსპობაც, მაშინ როდესაც ნერონის უმთავრეს სანუკარ-ბედნიერებას სიცოცხლე შეადგენდა. ის აძლევდა მას საყვარელ განცხრომათა თავის სახლის ზღუდეთა შორის ანუ — ქალაქის საკრებულოში იგი სტკბებოდა ყოველ-ნაირ განცხრომებით, რომელთაც მოისურვებდა. მას მოსარიდალი არა ჰქონდა რა, — ღამის წყვდიადი, რომლის სახურავის ქვეშ ეს ხდებოდა, ათავისუფლებდა ნერონს უსიამოვნო სირცხვილისაგან. გამოდიოდა რა სატახტო და პროვინციის თეატრების და ცირკების სცენებზე ვითარცა შეუდარებელი მხედარი, მომღერალი, მესაკრავე, პოეტი და სხვ..., მის ნიჭს განცვიფრებაში მოჰყავდა საზოგადოება. ცხოვრებისაგან ნერონი მეტს არასფერს ითხოვდა, ამ ნაირად ნერონ სრული კმაყოფილი იყო ცხოვრებისა ტ არც არა დროს ცხოვრებაზე უკმაყოფილება არ წარმოსცდენია. როდესაც მასთან შესრულმა პირებმა, სხვა და სხვა განზრახვით, მოახერხეს იმპერატორის გულში იჭვის ჩანერგვა, მას შიშისაგან კინაღამ გული გაუსქდა-იფიქრა თუ რადა ვიქნები, რომ ვინმემ წამართვას უფლება და სიცოცხლე, რომელიც ჩემთვის ასრე უხვი და ძვირფასია. სიცოცხლის მოყიოვებამ და იმავ სიცოცხლისათვის შიშმა მოიცვეს ნერონის სული. როცა პირველად ნერონმა სიკვდილი წარმოიდგინა, მან თვის შორის ვერავითარი სხვა მოთხოვ-

*) იხ. „მწყემსი“ 15—16 № 1896 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნილება ვერ იგრძნო გარდა იმათისა, რომლებიც თან მოსდევენ გემოთ მოყვარებას; არავითარ მოლოდინს, რომელსაც შესძლებიყო მისი სულის ამაღლება და ძლევა ბუნებრივის შიშისა საფლავის წინაშე, ის არა ჰგრძნობდა. საეკვო პირების დღენი დათვლილნი იყვნენ: ყველას, რომლებზედაც რაიმე იქვი ჰქონდა, ანუ ვინც მას რამეს უშლიდა, თუნდაც თვისის სიჩუმით, ერთ ნაირი დღე მოელოდა: ისინი უნდა დახოცილიყვნენ. ნერონის მშიშარა სულში არ აღმოჩნდა არც ერთი კაცთ-მოყვარული მოძრაობა: მასში მიმოხეტეტბოდნენ სვე უბედური ნაწყვეტები კეთილშობილური სიტყვებისა და მაღალთა თქმულებათა, რომლებიც ზეპირათ ჰქონდა დასწავლილი სენეკას გაკვეთილებზე. ერთი მეორეს ზედ მიყოლით უნდა მომკვდარიყვენ შეშინებულის იმპერატორის ბრძანებით — მისი ძმა, დედა, სენეკა, რამდენიმე იმპერატრიცა და მერმეთ რამდენი უბედური, მხოლოდ ერთის გაუფრთხილებელის სიტყვისათვის, თეატრში დამთქნარებისა და მოწყენისათვის, როდესაც სცენაზე თავს ჩენულობდა დიდი მსახიობი და სხ... თუ რანაირად უნდა მიჰგებებოდა წერონი თავის საკუთარ სიკვდილს, ეს ზემოთ ნათქვამდანაც ცხადათა სჩანს. ის შეუბრალებლათ აწამებდა ადამიანთა იმისათვის, რომ მათის ხელიდამ დაღუპვის ეშინოდა, და როდესაც პირის-პირ წაუდგა სიკვდილის აუცილებლობას, შიშის ზარი დაეცა და გონება სრულიად დაჰკარგა. ისტორიამ დაწვრილებით აღწერა ნერონის სიკვდილის წინა უღონო ბრძოლა. უკიდურესობამდის მიყვანილი, რომი წინააღუდგა მტარვალს. რომ შურის მაძიებელთაგან თავი გადაერჩინა, ნერონი გაიქცა ქალაქს გარეთ განსაკუთრებითი მეგობრის სახლში – განთავისუფლებულ ფაონისას. გზაში ვიღამაც იცნა ლტოლვილი; მას შიშისაგან კინაღამ გრძნობა დაეკარგა. მაშინ როდესაც განთავისუფლებულის სახლამდის რამდენიმე ათი საჟენი-ღა დარჩომილიყო, ნერონი უსარგებლო რამეებს ჩადის. მტრებს რომ მისი დასამალავი ადგილი ვერ ენახა, ის და ფაონი ეკლებში ხოხვით დაგლეჯილნი, სახლს უკანდამ მოადგებიან. ნერონს მონების გაღვიძების ეშინოდა და ამიტომ ჭიშკრიდამ შესვლა არა ქნა. ფაონი იძულებული შეიქმნა ერთ-ერთ კედლისათვის ძირი გამოეთხარა და იმპერატორი იქიდამ შეეყვანა ეზოში. სანამდი ფაონი ამ მუშაობას მორჩებოდა, იმპერატორი მიწვა მოსასვენებლად, ჯერ კი თავის გამოფხიზლება მოინდომა ერთი პეშვი ღვრიე წყლით, რომელიც გუბიდამ პეშვით ამოიღო. გამონათხარში ხოხვით გაძვრა იმპერატორი და მოკანცული წამოიქცა პირველსავე შეხვედრილ ტახტზე, რომელზედაც არასფერი არ ეფინა გარდა დამპალი ჩალისა; ფაონმა შეაძლია ნერონს ცოტაოდენი წყალი პური; წყალი თბილი იყო და პური წაბხდარი. ნერონმა პური არ ჭამა და წყალი კი დალია. მაგრამ დამალვამ ვერა უშველა რა იმპერატორს. რომიდან გამოპარვით მან მტრებს გული მისცა, რომლებმაც მხნედ და მედგრად დაიწყეს მოქმედება. სიკვდილი აუცილებელი იყო; მაგრამ ორში ერთი უნდა აღერჩია: ან მსჯავრით ე. ი. სასჯელით სიკვდილი, ანა და კეთილშობილური თავის მკვლელობა. ღირსება იმპერატორისა, იმ დროის მიხედვით, თხოულობდა უკანასკნელს. რა მძიმე და აუტანელი მოვალეობაა: თავისის ხელით სიცოცხლის მოსპობა, როდესაც მისგან ბევრის რამეს გამორჩომა შეიძლებოდა. საბრალო რამ იყო იმპერატორი. მან უსარგებლოდ დაიწყო დაყოვნება. საფლავის გაჭრის ბრძანება უკვე გამოიცა, და ნერონი, მხვედველი თავის საფლავისა, მდუღარე ცრემლს აფრქვევდა. მაგრამ დროს შეეყენება არაფერს შეეძლო – საფლავი მოამზადეს. მაშინ ნერონმა უბრძანა საფლავის კედლების მარმარილოთი ამოფენა; შეშის დაწყობა და დადგმა, როგორც ჩვეულება ითხოვდა; თვითონ კი განუწყვეტლად ქვითინებდა და დრო-გამოშვებით წამოიძახებდა: „ღმერთო, რა მსახიობი იღუპება ჩემში!“ ცხოვრებასთან გამოსასალმებელი ძალა ჯერ კიდე არ შესწევდა მას. ამ მომქანცველი ყოყმანის დროს რომიდან უწია წერილმა, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ ნერონს, „მამაპაპათა ჩვეულებისამებრ“, სიკვდილით დასჯა გადუწყვიტეს. როდესაც აუხსნეს, თუ რაში მდგომარეობდა ეს სამარცხვინო სასჯელი, მან როგორც იქმნა გაიხსენა ორი ხანჯალი, რომლებიც რომიდან თან წამოიღო, და დაუწყო მათ პირის შინჯვა. მაგრამ სიცოცხლის მოსპობა ჯერ კიდევ ემძიმებოდა, და ხანჯლები გვერდზე გადადვა. ნერონს მამაცობამ სრულიად უღალატა. მძიმე მწუხარება სულს უხუთავდა, მან თავის თანამოგზაურს სწორს თხოვა ამდგარიყო და ეტირა, ჩიოდა, რომ არავის არა სურს თავის მკვლელობის მაგალითი მიჩვენოსო; დაბოლოს იწყო შეჩვენება თავისი საზიზღარი ცხოვრებისა, რითაც მას სურდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალ-დატანებით აღიძვრა უკანასკნელის მნებელობისა: მიუხედავად ამისა მნებელობა მისი წინანდებურათვე სდუმდა. მოისმა ცხენთა ფეხის თქარა-თქარი — მათზე მოეკანებოდნენ მხედრები, რომლებსაც ნაბრძანები ჰქონდათ, ახალი იმპერატორისაგან ნერონის დაჭერა. ნერონმა იგრძნო, თუ რას მოასწავებდა ეს ხმა, ცოტა შეეყოყმების შემდეგ, ყელზე ხანჯალი მიიბჯინა. მაგრამ განკიცხულმა იმპერატორმა მხოლოდ მცირე ჭრილობა მისცა თავის თავს, ასე რომ გამოგზავნილები ცოცხალს მიუსწრებდენ: სხვისმა ხელმა განათავისუფალა ნერონი ამ სირცხვილისაგან. ერთი განთავისუფლებულთაგანი დაეწვა ხანჯალს ყელი გამოსჭრა ნერონს. — ამნაირად გამოეთხოვა სიცოცხლეს ის, რომელიც მასში ყველაფერს ჰპოულობდა და რომლისათვისაც იგი გათავდა უკანასკნელი აღმოფშვინვის შემდეგ.

შეიძლება, ნერონში ოდნავ მაინც აღიძრა ცოტაოდენი პატივისცემა საუკუნო ცხოვრებისადმი, როცა თვალწინ ედგა სიკვდილი. მაგრამ იყვნენ კაცები — და ვის შეუძლია თქვას, რომ ეხლაც არ არიან ისეთები, რომლებიც სიკვდილს მასხარად იგდებდენ და უარს ჰყოფდენ კაცის სულის უაღრეს მისწრაფებათა. ასეთი პირნი არაფრით არ განირჩევიან იმთგან, რომელთა მაგალითს ნერონი წარმოადგენს. მათის აზრით სანამ ძალა და ღონე შეგვწევს, უნდა ვისარგებლოთ ცხოვრებით — ვაკმაყოფილოთ ჩვენი ხორციელი მოთხოვნილებანი, სანამ ვცოცხლობთ. ძლიერ შეცდებით, თუ მათ მიუთითებთ სხვანაირ სიამოვნებებზე, სხვანაირ კითხვებზე და მოთხოვნილებებზე, რომელნიც შეეფერებიან კაცის ღირსებას. არც თვითონ დაგიდევენ კეთილშობილურ გამოკვლევათა და იმათაც ზიზღით უცქერიან, რომელთაც ქვეყანაზე ცხოვრების მიზნად მარტო კაცის ცხოველური მოთხოვნილების დაკმაყოფილება არ მიაჩნიათ. ადამიანზე გამოჯავრებით სიბოროტე თვით ამ კითხვებზე გადაავქეთ. ისინი მზათ არიან გაბიაბრონ, განკიცხონ, დაამდაბლონ ეს კითხვები და უსირცხვილოდ გამოაშკარავონ ქვეყნის დასანახავთ თვისი პირუტყული მოთხოვნილებანი. შეიძლება სიკვდილი, რომელიც ზოგიერთში ბადავს შიშს და ზოგიერებში კრძალულებას, აქეზებდეს კაცს, რომ მარტო ქვეყნიურ სიამოვნებაზე იფიქროს. უბედურ რომს ამისთანა ხალხიკა ჰყავდა. იქ ერთ დროს კარგა ხნის განმავლობაში ბევრს ლაპარაკობდენ ოხუნჯ პაკუვიაზე. ისტორიაში ამ კაცმა თავის შემდეგ ორნაირი კვალი დაანარჩუნა: 19 წ. ქრისტ. დაბ. შემდეგ ის იყო სირიაში ლეგატათ და ისრე სარგებლობდა ამ ქვეყნით, თითქოს და მისი საკუთრება ყოფილიყოს; 2) ერთ მხიარულ დროს მან ბევრი აკინა თავისი ნაცნობები და მეგობრები გასართობი მსახობით, პაკუვიამ თავის სახელობაზე გამართა სამგლოვიარო ქელეხი, რომელზედაც ყველაზე წინ თვითონ ისე უგრძნობლად დაითვრა, რომ ფეხის გადადგმა აღარ შეეძლო. როდესაც ის სტუმრებმა ლოგინზე დასწოლად ტაბისკენ მიაცილეს, ბერძნულად შემოსძახა: „ვიცხოვრე, ვიცხოვრეო!“ ძნელად თუ ვინმე ჩაიდენდა სხვაგვარ მეტიჩრობას, რომელსაც ასრე თვალსაჩინოდ გამოეცხადა პაკუვიას მსგავს კაცთა მოთხოვნილებათა გამოაშკარავება, და მათი იმ დიდ საიდუმლოსთან დამოკიდებულება, რომელსაც **საკვდ�do** ჰქვია.

სამწუხაროთ, ჩვენ ხელთ არა გვაქვს ისტორიულნი მაგალითნი, რომლების მოყვანაც შეიძლებოდა, რომ უკეთესად დაგვესურათებინა ამ უკანასკნელ კაცების ხასიათი. მაგრამ ჩვენ აქ დიდ სამსახურს გაგვიწევს სიტყვაკაზმული ლიტერატურა. ამ შემთხვევაში ძლიერ სასარგებლო იქნება მივმართოთ ტოლსტოის თქმულებას: „სიკვდილი ივანე ილიას ძისა“. ამ ღრმა და მეაფილ ფსიხოლოგიური გამოკვლევებით სავსე თქმულებაში, შეუდარებელი სინამდვილით და ცხოვლად არის გამოხატული სიკვდილისადმი წინააღმდეგობა თანამედროვე უარის მყოფელისა.

ივანე ილიას ძე გოლოვინი დაიბადა და აღიზარდა პეტერბურღელ საშუალო შეძლების „ჩინოვნიკის“ ოჯახში. მშობლებმა იგი სამოქალაქო სკოლის სასწავლებელში შეიყვანეს, რადგან ეს ყველაზე უფრო საჭირო განათლება იყო. ახალგაზდა გოლოვინს ცხოვრებაში არ ემჩნეოდა კეთილშობილური განზრახვათადმი მისწრაფება. მის გულითად წადილს შეადგენდა „იოლად, სასიამოვნოდ და შესაფერად“ ცხოვრება. სამი სიტყვა, რომელიც ძლიერ ჰგვანან ეპიკურიელების კანონს: „სვი, ჭამე და განიხარე, იმიტომ რომ ხვალ მოჰკვდები“, შეიცავს თანამედროვე განათლებული კაცის შეხედულებათა ყოველნაირ საკითხებზე, რომლების გამოწვევაც მის თავში ცხოვრებას შეუძლია. „საადილოდ და სასიამოვნოდ“ პირველ ყოვლისა მას მიაჩნდა ოთხი ათასი ანუ ხუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თიათასი მან. ჯამაგირი, ნაკლები კი არ ივარგებდა, ხოლო ოთხი ათასი, ანუ ხუთი ათასი, აი უმწვერვალესი მისი სურვილი, და მართლადაც რომ ეს ციფრები ხდებიან გოლოვინისათვის ზგა მაჩვენებელ ვარსკვლავად მსოფლიო წყდიადში. ამასთანავე უფლების მოპოების საქიროებამაც იჩინა თავი, ე. ი. როგორც ივანე ილიას ძეს ესმოდა, სხვაზე უფროსად ყოფნის სურვილმა. ბუნებით ის იმნაირი იყო, რომ სხვისი ვნება და ზარალი არ შეეძლო, მაგრამ სხვის უფროსად გახდომა კი ძლიერ სურდა. ამიტომაც დიდ ჯამაგირთან ერთად უფლების მოპოება მის მეორე მიზნათ შეიქმნა. ამას თან მოჰყენენ ქალები და ცეკვა-თამაში—ჭკვა მხიარული ყმაწვილობისას და მართებული „ვინტი“—მოწიფულების ხანში: ერთიც და მეორეც ხდებოდა სიკოცხლის დასამშვენებლად, შრომის შემდეგ მოსვენებათ. სიტყვა „მართებული“ ცოტა იმაზე მეტსა ნიშნავდა. უკეთესი მკერვალისაგან ტანისამოსის გამორთმეცა, დიდ ფანჯრებიან და მაღალ ოთახებიან სახლში დგომა და მისი მოწყობა თვისის წრის ხალხის ყაიდაზე, უთვალავი მოსამსახურეები, ყოველ საღილ-ვახშამზე ძვირფასი სანოვაგეები, დაჟინებით სხვა და სხვა რჩეული ღვინოების ჭიქა, ერთი სიტყვით დეენტლმენის, ანუ როგორც იტყვიან ხოლმე, რიგიანის კაცის ზნე-ხასიათის ქონვა—აი რა ითხოვებოდა მართებულებათ. კაცდამი განწყობილების კითხვა-ღა რჩებოდა კიდევ. მაგრამ ეს დიდ დაბრკოლებას არ წამოადგენდა. საქმე ლაპარაკი თანამოსამსახურეებთან, მასხრული მხიარულება ბალებში და სხვა გასართობებში მოსიარულეებთან, თავდაჭერილი ლანძღვა-გინება ბანქოს მოთამაშეებთან და დასასრული ხან დაცინვით თავაზიანობა და ხანაც მოწყალე და კეთილ-სულოვანი მოკცევა იმაზე დაბალ ხალხთან,—ყველა ესეები სულის და გულის განსაკუთრებულ თვისებებს არ ითხოვდენ და, რასაკვირველია, სულ ადვილად ეხერხებოდა მას. ასრეკვე ნაკლებ აწუხებდა მას საუკ. ცხოვრ. შესახები კითხვები, რომლებიც ზოგიერთებისათვის შეადგენდა დიდ სასურველ საგანს და ერთად ერთს ცხოვრების ჰაზრიან საქმეს. ის არ დაფიქრდებდა იმათ შესახებ, უკეთუ გონება მისი შემთხვევით წაიწყდებოდა მათ, სიტყვები „არასფერია“, „სისულელეა“, იყენენ მისი გამომხსნელნი.

მდგ. ეჯ. ფოფხაძე.

საქართველოდან

ძველი დროდან თავგადასავალი.

(საისტორიო მასალა).

(გაგრძელება *)

მეფე მოადგა ლორესა ციხესა გამაგრებულსა,
თუმცა მაგრობდა დიმიტრი, მაგრამ მეფე ჰყოფს ვნებულსა,
ციხე შემუსრეს, აიღეს, შიგ მყოფს არ ჰყოფენ შვებულსა,
დიმიტრის თვალნი დაცასწვეს, მას ბედ-შავს გაწბილებულსა.

მეფე მობრუნდა გიორგი, სვე სვიანობით სრულია,
ვინცა უქმოდა ბოროტსა, მყისვე ღმერთმან ჰვის კრულია,
მწერალნი მისას იტყვიან, წმინდად გიორგიდ ხმულია,
მანცა მოკლაო ვეშაპი ფრიად დიდ პირ-აშკმულია.

ოცდა ოთხ წელი იმეფა მეფემ გიორგიმ შვებულად,
აწ მანცა გადაიხადა ადამის ვალი დებულად,
აღსრულდა, გარდაიცვალა, ქართველთ ცრემლი ჰხვდათ ესებულად,
წმინდათა თანა იხარებს სუფეევს განსვენებულად.

მეფისა გიორგის გარდაცვალება და ასულისა მისისა თამარისა დაჯდომა მეფეთ ქართველთა ზედა, რომელიცა იყო მეფე მესამე ღირსი ხსოვნისა, რომელმანცა ჰქმნა დიდ დიდნი საქმენი პაპისა თვისისა დავით აღმაშენებელისა მსგავსადა და თითქმის უმეტესიცა.

დამარხეს მეფე გიორგი, ვითა მეფეთა წესია,
ამერ იმერნი იგლოვდენ, ჩაიცვეს ძაძა ბლესია,
მათ ერთი წელი იგლოვეს, ვით იყო დანაწესია,
მერმე დაისვეს მეფეჲ, ვინ ყოველთა უმჯობესია.

მოვიდა კათალიკოზი, ჰკრბნენ ეპისკოპოზთ დასები,
ამერ-იმერნი, აფხაზნი, ლეკნი, ოვს-ჩერკეზ-ასები,
თუშნი, ფშაველნი, ხევსურნი, ჩაჩნები ბევრ ათასები,
დაისვეს მეფედ თამარ და სცხეს ზეთი განაწესები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფის გიორგის ასული, სახელით თამარ დებული,
მხნე, ახოვანი ძლიერად, ვით დავით გმირი ქებული,
გლახაკთა შემწყნარებელი სამართალ მოსწრაფებული,
მტერთა ზარისა დამცემი, ჰყო ქართლი განდიდებული.

თამარ მიიღო მეფობა, არის ღვთისაგან სვიანად,
მყისავე შინა სალარო განაღო არა გვიანად,
გლახაკთა მისცა მრავალი, ქვრივ ობოლთ ექმნა მწეანად,
ლაშკართა თვისთა მრავალი ოქრო-ვერცხლი სცა ჭკვიანად.

მერმე მოიხმო ყოველი სამღვდელოთ დასთა კრებულნი,
უბოძა ეკკლესიათა შესამოსლები ქებულნი,
ეგრეთვე მდიდრად განაწყო საყდარნი გაშვენებულნი,
ჰყავითო წირვა-შეწირვა, ღვთისად მყავთ შევდრებულნი.

მეფესა თამარს განუდგნენ ვიეთნი ყმანი მტროდიან,
მაგრამ მეფემან სიბრძნითა ჰყოცა, ვინც ცუდთ ჰხტოდიან,
მყისვე შეიპყრა იგინი, შერისხვით შეიკროდიან,
ვერვინ უზემდა შველასა, ვისგანაც იმედობდიან.

მისსა მეფობას ვინც იყვნენ სარდალ-სალთხუცად ხმობილნი,
მხნენი, მამაცნი, ჭკვიანნი არვისგან დაწუნებულნი,
მოსავნი ღვთისა, ერთგულნი, მეფისგან შეყვარებულნი,
ომსა მძლედ მდგომნი მამაცად, მტერთაგან არ შინებულნი.

ქართველთა შორის მხარგძელი, პირველ სპასალრად ხადიან,
მანდატურთ უხუცესადა, ჭიაბერს მოიტყოდიან,
მეჭურჭლეთ მძღვანსა ვარდაძეს კახა ბერს შეამკობდიან,
მსახურთა უხუცესობით ვარდანს ჭკვიანად ჰხმობდიან.

ჩუნჩერახი მარუშის ძე სარდალია იგი ხმობით,
ამილახვარ გამრეკელი სახელობით, თორელ მკობით,
ერისთავნი კვალად სხვანი ბარამ იყო ლომად ქებით,
აწ რაჭისა კახაბერი კახბერიძე მტერთა ვნებით.

შარვაშიძე აფხაზისა იყო სარდალ სახუცესად,
ცხომისაცა ამულლიძე ხნიანობით უხუცესად,
ბედიელი სპასპეტობით ოდიშ იყო განაწესად,
ლიხთ იმერთა ამერთ რატი სურამელი უაღრესად.

კახეთისა ბაკურლობად ბაგანის ძე სახელდებით,
ერათისა ასათისძე გრიგოლ იყო ჭაუით ქებით,
ბოცო სამცხეს ჯაყელ გვარად, სპასალარი მტერთა ზრებით,
მუნებურთა ერისთავთა მბრძანებელი შემოკრებით.

მეფე იშვებდა, ლხინობდა და მისნი დიდებულნი,
იყო მშვიდობა დიადი განაძეს ყოველი ფლიდნი,
არვინღა სჩანდა ორგული ვერცა ვინ აღძრა გულნი,
მეფესა მოწყალებითა გლახაკთ იდიდეს სულნი.

მეფეს ვაქებდეთ მშვენიერს მართ ცისა ბურჯსა ასულსა,
შვიდთა ცოთმილთა ბრწყინავთა მათზედა ელვით ასულსა,
მთვარესა სრულსა, აღვსილსა პირი უცს გაბადრებულსა,
მთლად ქვეყნის მეცნიერებმა ქება ვერ ჰკადრონ ქებულსა.

მისი სინაზე, სიტურფე და მისი მშვენიერება
მზეს განაკვირვებს სიმწყაზრე, ზოალსა მიხვდეს მცირება,
ოტარიდს კლევდეს შვენება მისი, მან შექმნას მზირება,
მარეხსა გული ეწყლოდა, როს განიცადა ჩვენება.

აწ დიდებულნი მეფისა ერთობლივ ერთად ყრილობით,
სწუხდნენ და ვთქვაცა სტიროდნენ ყოველნი დარაზმულობით,
მეფესა ევედრებოდნენ ყოვლნი ერთ პირად ხმულობით,
მეფეო თამარ, შეირთე შენ ქმარი, გვედრებთ სრულობით.

სამღვდელოთ დასმა კრებულმა მეფეს შეჰკადრეს თქმანია,
შეკაიუღლე ქმარიო, ჩვენ გვედრებთ შენი ყმანია,
რათა შენ მიერ ნაყოფი ჩვენ გვიჩნდეს საყვარელია,
მეფე ბრძანებდა უარსა არვინ არს ჩემი ფერია.

დიდებულთა ჰკადრეს მეფეს ვპოვეთ შენდა შესაფერად,
საქრმოდ შენდა იგი გვინებს, მშვენივრესა სამზრელად,
კეისრისა ნათესავი ალექსი არს გამომშვენად,
მაგრამ თამარს არა რად სჩნდა, არცა თვისად შესაფერად.

მეფე თამარ ვითა ვაქო ანუ ვით ვსთქვა მისი ქება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მლოკავი და ღვთის მოყვარე, აქვს სამღვდელოთ შეყვარება,
მას არ უნდა არვინ საქმროდ, მხოლოდ ღვთისად ჰქონდეს შვება,
მან იხილა ძილსა შინა საკვირველი განჩვენება.
სიზმარსა შინა იხილა სახლი ტურფად რამგებული,
მას შინა მშვენიერადა საყდარი გაშენებული,
ენება რომე დაცა-სჯდეს, არ იქმნეს მიმორებული,
მსახურნი მისნი არ ნებას სცემდნენ მუნ იყვნენ ხლებულნი.
ეტყოდა თამარ მსახურთა რად არა დაჯდენთ მეოდა,
მე ვარო მეფე, საჯდომი ჩემი ჯერ არსო ზეოდა,
მსახურთა ჰკადრეს, მეფეო, ისმინე, ბრძენო, მხნეოდა,
შენ ვერა დასჯდე იკოდე საჯდომსა ამასზეოდა.
მარქვით, მაუწყეთ რად არა, მევე მათდამი ქმუნვიდა,
მათ ჰკადრეს მოჯალაბისა შენისა არსო ხმულიდა,
იგი ათორმეტ მღვდელთათვის თავითა თვისით ზრუნვიდა,
შესამოსელსა ყოველთა მატყლთაგან შეკაუქმოდა.
როს განივრთხო ძილისაგან თამარ, ბრძანა მოყვანება,
მოკავიდა, მოჯალაბის კოლს შეუქმნა მოგონება,
მას უბრძანა თამარ მეფემ სიზმარისა მოჩვენება,
მან შეჰკადრა მართალი არს სამოსელთა მოქსოება.
იწყო თვით თამარ მოქსოვა ათორმეტ შესამოსელთა,
ათორმეტთ მღვდელთა უბოძებს თითთა თვისთაგან ქსოვილსა,
ყოველნი ერნი ჰკვირობდნენ მეფის ნაქსოვსა შრომილსა,
თამარს აქებდეს ყოველნი ღვთისაგან გვირგვინებულსა.
ყოვლნი სწუხდნენ დიდებულნი თამარ მეფის უძეობას,
თქვეს ყოველთა მიეხვდებითო მეფის შემდგომ უმზეობას,
მუნ ვაჭარი ვინმე გაჩნდა, მოკაიწყობს სიტყვის თქმობას,
მე ვიკო კარგი ვინმე, იგი ღირს არს თამრის ქმრობას.
ოდეს ისმინეს ყოველთა ვაჭრისა ესე თქმულია,
მყისვე ეტყოდეს, სადაა, ანუ ვინაად ხმულია;
იგი ეტყოდა ყიფჩაღში მამაცად არსო სრულია,
რუსთ მეფის ნათესავია, არც ტანათ არის ზრუნლია.
გაგზავნეს იგი ვაჭარი, მოიყვანეო რუსია,
მყისვე წარვიდა ვაჭარი, ხანი არ ჰყოვნა მყისია,
წარმოიყვანა ყიფჩაღით, ვლო ჩქარა ღამე, დღისია,
ვინცა იხილნეს ქართველთა თქვეს საქმრო თამრის ღირსია.
როს განიცადეს რუსი და იმისი მშვენიერება,
ეგრეთვე ტანად ახოვან, სისრულე-ზომიერება,
დიდებულთ მეფეს შეჰკადრეს სიტყვის თქმა კადნირება,
აჰა ქმარიო საფერი, მონათ გვისმინე წადება.
მეფე თამარ დიდებულთა უბრძანებდა სიტყვას ხმირად:
რუსი ესე მშვენიერ არს სახით, ტანათ, თვალთ გმირად,
აწ გაშინჯეთ შინაგანი ყოფა ქცევით არსო ტკბილად,
ვერ დაჰყარნეს მეფე თამარ, იგი საქმროდ არ ჩანს მზირად.
ჰყვა თამარ მეფეს მამიდა, რუსუდან სახელდებული,
მეფის გამზრდელი უკადრი, ჭკუა-ქცევითა ქებული,
მასთან მიეიდნენ თავადნი სამღვდელოთ დასთა კრებული,
მას განუცხადეს უჩვენეს სასიძოდ გამზადებული.
დიდებულთ თავადთ, მეფის ყმათ, სამღვდელოთ დასთა კრებულთა,
მას შეკადრებდეს ერთ ხმობით, გეხსენ ჭირი შეიწრებულთა,
თამარსა ძეო არ უვის, ბოლოს ვხვდეთ ცეცხლებს გზებულთა,
რათა შეირთოს ქმარიო არ ვგვანდეთ გახელებულთა.
მეფის მამიდა რუსუდან ძმის წულს შეჰკადრებს თქმეესა:
რად არ მოუსმენ დიდებულთ მოხსენებასა, კცევასა,
შეუღლდი რუსთა მეფის ძეს, ქორწილსა ჰყოფდი წვევასა,
ღმერთმან ჰქმნას, ძეო გიბოძოს, ვყოფთ წირვას, საკმლის კმევასა.
მეფესა ქმარი არა სწადს, არცა ძე—შვილიერება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრა დიდებულთ და მდაბალთ ულრულა წადიერება,
მამიდას, მღვდელთა კრებულთა ვერ უქმნა კადნიერება,
დაჰრთო ქორწილის ნებანი, იხმარა გონიერება.

ქორწილი თამარ მეფისა.

ჰქმნეს ქორწილი, ვითა შვენის, ანუ მეფეთა წესია,
დასწერეს ჯვარი, შეიქმნა სმა, ლხინი განაწესია,
რა ქება უნდა, მეფისა ქორწილი უმეტესია,
ეგრეთვე შვება განცხრომა სხვებზედან უმჯობესია.
გათავდა ლხინი, ქორწილი, შექცევა შვება სვიანი,
მეფისა დიდებულებმა საქმე არა ჰყვეს გვიანი,
მეფესა თამარს შეჰკადრეს, მოხსენება ჰყვეს გზიანი,
აწ გვიწინამძღვრე რუსისა, მეფის ძე განგებიანი.
თამარ აძღეოდა ყოველსა მათსა ჭადილსა ნებასა,
შემოკრბნენ ლომნი ქართველნი, ვერვინ იქმოდა კლებასა,
წარვიდნენ კარაფონისკენ, უყოფდენ წვასა-ტყებასა,
გამარჯვებულნი ალაფით იქმოდნენ შემოქცევასა.
ლაშკრობდიან ქართველ ლომნი და სარდლები ქებულები,
გელაქუნელთ გარმიანელთ ხტყეევნიდიან შვებულები,
თურქთა ტყვე და ოქრო-ვერცხლი ანუ სხვა რა კლებულები,
ქართველთა აქვნ მათი ყველა, სახლსა ჰქონდათ დებულები.
მას ჟამს შეჰკრიბა მეფემან ამერ იმერთა ჯარები,
მყისად მიმმრთა დვინელთა შეცა ჰყო შენაზარები,
მიგზავნა ომად ქართველნი, ლომთა უმუსრეს კარები,
გაბარჯვებულსა მეფესა ურეკეს ყოვლგან ზარები.
მას დროსა არვინ გამოჩნდა თამარის სპათა მბრძოლია,
ვინცა გამოჩნდა, შემუსრა, ექმოდნენ მყისად მსრბოლია,
გიორგიანთა მებრძოლი ვერც სპილო-ვეფხ-ლომ მწოლია,
მეფეს სამოცი ათას კაც ყოვლ დღე ამალად მყოლია.
ეით დავით აღმაშენები, ზემოთ არს მოხსენებული,
ეგრეთვე თამარ მეფესა სპარსნი ჰყვა შეშინებული,
თურქნი, სპარსელნი, არაბნი ხარკით ჰყვა შეიწრებული,
ყველა სძღვნობდიან საჭურჭლეს, ღმერთმან ჰყო გვირგვინებული.
იშვებდა მეფე განცხრომით ნადირობს, ხარობს შვებულად,
ლაშქრობს, მტერთ რისხვას უვლინებს, სრა ულან განსვენებულად;
გამოჩნდა მეფის წინა თქმა, ქართველნი სირცხვილეულად,
რუსმან დაიწყო სიმთვრალე სიუხვით ჩვეულებულთან.
ხელჰყო სიმთვრალეს, სხვა რიგად იქმოდა მრავალ თოდვითა,
ეგრეთ სიძობას შვრებოდა, იტყოდა ბევრთა გმობათა,

. . . . . .

მეფე ამისა მსმენელი მიეცა შეეპირვებათა.
თამარ მეფეი მომთმენი, ამა საქმისა მხედია,
რუსისა მწვრთნელი მრავლგვარად, ვაჟეო ჩემი ბედია,
ორს წელნახევარ ათთმინა, სიბრძნით გონებით მხნედია,
არ დაიშალა რუსმან მან ქედსა მიაყრდნა ქედია.
ეცადა თამარ მეფეი, ეს საქმე დაიფროსა,
მაგრამ განისმა ხმა ესე, ყურმა ვით გაიგონოსა,
არ იქმნა დაშლა რუსისგან, ცოდვას აღარა შოროსა,
რაოდენ ბევრი უშალეს, რუსმა ბოროტსა ჰმატოსა.
ერცხვინებოდა დიდებულთ, ქართველთ სამღვდელოთ კრებულსა,
რუსის სიმთვრალე ბოროტი, სიძეს უუბრეტდენ კლებულსა,
რადგან ქართველნი შეადგნენ მეფესა განშვენებულსა,
რად თამარ შეეაუღლეთო რუსსა სიმთვრალე ჩვეულსა.
ბრძანა მეფემან, შემოკრბეს თავადნი დიდებულები,
ეგრეთვე ქათალიკოსნი, სამღვდელოთ შეკრებულები,
მყისად ისმინეს, შემოკრბენ, არ იქმნენ ხან-დაზმულები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფეს იახლნენ დარბაზსა, დაცასდგნენ დარაზმულები.
მეფემ უბრძანა, ისმინეთ ჩემი ეს სიტყვა თქმულია,
ოდეს ვსცან რუსის ბოროტი, ვიქმენ ყოვლითა ცულია,
არ შემიგინავს ტაძარი, ჩემი ბრძანება სრულია,
ორ წელ ნახევარ ვითმინე, როს რუსი გახდა კრულია.
Ეე, დიდებულნო, ყოველნო, სამღვდელოთ დასთა კრებულნო,
ქართველნო ამერ-იმერნო და კახნო დარაზმებულნო,
სარდალ, სახლთ-ხუცეს, ამილბარ, სპასპეტნო დარიგებულნო,
უთხარით, სწვართეთ, მოიქცეს რუსი, კეთილად შვებულნო.
თუცა ინებოს მოქცევა, რუსმა ჰყოს შენანებანი,
კვალად შევეღლდე მასთანა, ვით არის განწესებანი,
არ შეინანოს, მაშორეთ, განსაჯეთ, იწყეთ კრებანი,
თუმცა მოიქცა, აწ თქვენგან მოგწერდესთ ჩემგნით ქებანი.
დიდებულთ და სამღვდელოთა წარიყყვანეს რუსი თვისად,
იგი სწვართეს მრავალ რიგათ სამღთოთი და საერისად,
აღიარა არ მოქცევა, სული მისცა ეშმაკს მყისად,
სამღვდელოთა გაცასაჯეს, განუწესეს მოკვლა მისად.

ახალი ეშმები და შენიშვნები.

ყველა ეპარქიებში უკვე ამორჩეულია ჯეროვანი ადგილები, სადაც უნდა აშენდეს შენობები ორკლასიანი საეკლესიო-სამრევლო სკოლებისათვის. სადაც შესაფერი შენობები არ იმექონებიან, იქ უმაღლესი მთავრობის განკარგულებით უნდა ააგონ ახალი შენობები. მაგრამ დღემდე კარგად გარკვეული არ იყო, თუ როგორი შენობები უნდა აეგოთ ხსენებული სასწავლებლებისათვის. დღეს ეს კითხვა უკვე განმარტებულია უწმ. სინოდის მიერ „საეკლესიო უწყებებში“. საეკლესიო-სამრევლო ორ-კლასიანი სასწავლებლებისათვის უნდა აგებულ იქმნენ შემდეგი შენობები: თითოეულ შენობაში უნდა იყოს არა ნაკლებ ოთხი ოთახისა. ამ ოთხ ოთახში სამი ოთახი ისეთი უნდა იქნეს, რომ თითეულში დაეტიოს 15—20 მოწაფე; ეს კლასები იქნებიან მეორე კლასის სამი განყოფილებისათვის; მეოთხე ოთახში უნდა მოთავსდეს პირველი კლასი, რომელშიაც უნდა დაეტიოს 50—60 მოწაფე. თითოეული ის ოთახი, რომელშიაც 20 მოწაფე უნდა მოთავსდეს სიგრძით და სიგანით უნდა იქნეს 7 არშინი და 12 გოჯი, ანუ მოგრძო—სიგრძით—რვა არშინ ნახევარი და სიგანით 7 არშინი სიმაღლე კი 4 არშინი და 12 გოჯი. მისაგალი ოთახი უნდა იქნეს დიდი პალტოების შესანახავად. ამავე ოთახში დაისვენებენ მოწაფეები გაკვეთილების შემდეგ. სამზარეულოსთან უნდა იქნეს მაშენებული სასადილო ოთახი; ესევე ოთახი იქნება საწოლიად.

სამი ოთახი უნდა გაკეთდეს სამი მასწავლებლისათვის. მასწავლებლების ოთახი უნდა იქნეს მოწაფეთა საწოლის მახლობლად, რომ ყმაწვილებს ყურადღება ექნეს მიქცეული ძილის დროსაც.

აღნიშნული შენობები უნდა იქნეს ორ სართულიანი, რომ უფრო იაფად დაჯდეს შენობა. საკლასო ოთახები უნდა იქნენ სიმაღლით უსათუოდ 4 არშინი და 12 გოჯი, ხოლო სხვა ოთახები სამი არშინი და 12 გოჯი.

***

ალავერდის ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო ბესარიონი, დროებით მმართველი იმერეთის ეპარქიისა, 9 ამ თვეს წაბრძანდა კახეთში თავისი მოსასტრის დასახედავად. მათი მეუფება დაბრუნდება ქუთაისში 20 ამა თვისათვის.

***

სახალხო განათლების სამინისტროს განკარგლების ძალით საერო უწყებას უფლება არა აქვს ადგილობითი ეპარ-ქიის მღვდელთ-მთავრის წინდაწინვე დაუკითხავად საერო სკოლა გახსნას იმ ადგილს, სადაც უკვე არსებობს საეკლესიო-სამრევლო სკოლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მათხოჯის დედათა სავანის ქვითკირის ეკლესიის გეგმა.

მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო! კურთხევითა და ნებართვითა იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა, აწ დეთისმიერ განსვენებულისა, სოფელს მათხოჯში დაარსდა დედათა სავანე 1893 წელში. აქ შეკრებილ 45 დანებმა დაიწყეს შენება თავისი სადგომი სახლებისა და ჩინებულად დაბინავდენ იკინი. ამ წლის მაისის თვიდგან ლოცვა-კურთხევითა ეოვლად სამღვდელო ბესარიონისათა შეუდგენ ქვითკირის ეკკლესიის შენებას სავანის ეზოში იმა ადგილს, სადაც ერთ დროს ეოფილა ჩინებული და შესანიშნავი ეკკლესია, რომლის ნანგრევებს დღემდის მოუწევია. ეკკლესია საფუძველს ზემოთ სამ ალაბზეა აშენებული. დღეს მუშაობა შეჩერებულია უფულობისა გამო. ეჯვს გარეშეა კეთილი გაკეთენა მონასტერთა და სავანეთა სალხის კეთილ ზნეობაზე და სარწმუნოებაზე.

მოვიქცევით თხოვნით, მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო, აღმოგვიჩინეთ შემლებისადაგვარად შემწეობა, რომ ღმერთმან მოგაგოსთ თქვენც ასწილად.

ჯეშმარიტად სანუგეშო და სასიხარულო უნდა იეოს ეოველი ჯეშმარიტი ქართველისათვის განმრავლება და აღორძინება დედათა სავანეთა და მონასტერთა. ჩვენი ქეეანა ამ კეთილ დაწესებულებათა ეოხებით იეო დიდებული და სახელგანთქმული და მასვე უნდა მოველოდეთ დღესეც.

ეოველ შემწირველთა სახელები აღნიშნული იქნება მოსახსენებელ კონდაკში და მოხსენება ექმნებათ წირვა-ლოცვის დროს. ეოველი შეწირულება ეოველთვის გამოცხადებული იქნება ჟურნალს «მწყემსშის». შეწირულებათა გამოგზავნა შეიძლება „მწყემსი“ რედაქციაში ან პირდაპირ დაბა ხონში ამ ადრესით: დაბა ხონი, მათხოჯის დედათა სავანის რჩევის თავმჯდომარეს პარასკევას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საეკლესიო კითხვების განმარტება.

შტატ გარეშე მდგომელს, თუ იგი იქმნა ადგილობრივი საბალადოჩინო ოლქის სამდვდელოების მოძღვრად, სამსახური ეთვლება წმ. ვლადიმერის მეოთხე ხარისხის ორდენის მისაღებად 50 წ. სამსახურისაკვის.

უწმიდესი სინოდის მიერ, 21-30 აგვისტოდან 1890 წ. დამტკიცებულ დადგენილობებში აღნიშნულია, თუ ვინ როგორი ეგზამენი უნდა მისცეს, რომ მსწავლებლობის თანამდებობა მიიღოს საეკლესიო სამრევლო ერთ კლასიან სკოლებში. ამ დადგენილობათა ძალით სრული ეგზამენი უნდა დაიჭირონ მათ, რომელთაც შინაური განათლება მიეღიათ ანუ უსწავლიათ დასაწყის საერო სასწავლებლებში, აგრეთვე ასეთი ეგზამენი უნდა დაიკავონ მათთაც, რომელთაც სწავლა არ დაუსრულებიათ სასულიერო ოთხ-კლასიან, სამოქალაქო, სამაზრო და ამაების მზგავს სასწავლებლებში. მოკლე ეგზამენი უნდა დაიჭირონ მათ, რომელთაც ექნებათ მოწმობა, რომ მათ სწავლა დაუსრულებიათ ოთხ-კლასიან სასულიერო, სამოქალაქო ან სამაზრო სასწავლებლებში, გიმნაზიის და ბრონგიმნაზიის მეორე კლასში. ხოლო მათთვის, რომელთაც სასულიერო სემინარიაში სწავლა არ დაუსრულებიათ, გამოცდა არ არის დაწესებული.

უწმიდესი სინოდის უქმაზის ძალით, 10 ივნისიდან 1724 წლისა, აღკრძალულია პანაშვიდის და წესის აგება გარდაცვალებულთა ზედა ეკლესიაში მათი იმპერატორებითი, მემკვიდრის და სხვა მათი სახლობის გვარეულობათა დაბადების და სახელწოდების დღესასწაულებში, აგრეთვე ტახტზე ასვლის და გვირგვინოსნების დღესასწაულს და ამა დღეებში მუხრზედაცა. დამარხვა განსვენებულთა აკრძალულია ძალისა გამო უწმ. სინოდის განჩინებათა 29 მაისიდან 1844 წ. და 2 მარტიდან 1862 წ. ადდგომის ბ შობის დღეებში მუხრარადმდე, და აგრეთვე მათ იმპერატორებითის უდიდებულესობათა, მემკვიდრე ცესარევიჩისა და მემკვიდრის მეუღლის სახელწოდებათა და დაბადებათა, ტახტზე ასვლისა და გვირგვინოსნების დღეებში. დანარჩენ დღეებში ყოველთვის შეიძლება მიცვალებულის დამარხვა დაუბრკოლებლად...

შეწირულებანი.

გაზეთში დასაბეჭდად ჩვენ მივიღეთ წერილები შემდეგ პირთაგან:

I

ბლაღოჩინის მღვდ. ნესტორ შეანგიორაძისაგან:

«მ. რ. უმორჩილესად გთხოვთ თქვენის პატიეც�ულის «მწყემსის» საშვადებით უეულითადესი მადლობა გამოუცხადოთ ჩვენგან და ჩვენი საბალაღოჩინოის ქვემო მოხსენებულ ეკლესიების კრებულთაგან კნ. ნინო ლორთქიფანიძისა, რომელმაც შემოსწირა: ცხუკურის წმიდის გიორგის ეკლესიას: ერთი ხელი მღვდლის შესამოსელი, სამი დაფარნა, ერთი ფრაჟის შანდ ლი, ოთხი ლენტი აბრეშუმისა სახარებისათვის, სანაწილე თავის ბუდით. ყუმისთავის წმიდის გიორგის ეკლესიას: ერთი ხელი დაფარნები, სამლაევები და ოლარი. ახალ ბედისეულის მთავარანგელოზის ეკლესიას: სახარება, სამოცქიულო და დაეთნი ერთად შეკინძული. ჩუნეშს წმიდის გიორგის ეკლესიას: ერთი ფრაჟის შანდ ლი, ეთერნაპერი აბრეშუმისა შემკული ფოჩვებითა, ანალოგიაზე გადასაფარებლად, ორი ნაპერი შალისა ფოჩვებით, ანალოგიაზე გადასაფარებლად. დელალეურის წმიდის გიორგის ეკლესიას: ერთი ოლარი, ერთი სარტყელი, საბეჭვრები და სამი დაფარნა. გეშტბის მღვთის მშობლის ეკლესიას: ერთი ოლარი, სარტყელი, სამლაევები და ერთი ხელი დაფარნები.

II

მღვდლის მ. ფილიმონ დეკანოსიძისაგან:

«მ. რ! უმორჩილესად გთხოვთ ნება გვეპოძოთ, რომ თქვენი გაზეთის «მწყემსის» საშეალებით მადლობა გამოუცხადოთ, როგორც მე აგრეთვე ჩემმა მრეველმაც მადლობენს დომენტი გრიგოლია ძე ჭიპაშვილს, რომელმაც ჩემდამო რწმენებულს ლარისსე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქერძო საავთმყოფო ამბულატორიითურთ

ს. ბ. თოფურიასი

ქ. ქუთაისში.

საავთმყოფოში დგას ოცდათორმეტი საწოლი ხირურგიულ, გინეკოლოგიურ და შინაგან სენით ავთმყოფთათვის. მუწუკებიანი და გადამდები სენით ავთმყოფნი არ მიიღებიან. მოსიარულე ავთმყოფნი მიიღებიან ყოველ დღე 11 საათიდან შუადღის 3 საათამდე.

შინაგან და ნერვებით ავთმყოფებს მიიღებს
ექ. ს. ბ. თოფურია.

ხირურგიულ და შარდით
ექ. ბ. ბ. კრუეკალსკი.

დედაკაცურ ავთმყოფთა და სიბებიოს ქალი
ექ. მ. ფ. კაბანი.

თვალების ავთმყოფისათვის
ექ. ი. კ. ვარშავსკი.

რჩევა დარიგების ფასი 50 კ., კონსილიუმის ფასი 3 მ. დღე და ღამე ქირა საავთმყოფოში სრული ხარჯით და ექიმობით 2—3 მანეთამდე. ოპერაციის ფასი გარიგებაზეა.

სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია.

ისყიდებიან

დეკანოზი დავით დიმბაძისაგან შედგენილი და გამოცემული წიგნები:

თბილისში, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში—«მწყემსი»-ს რედაქციის სტამბაში, ძმ. ჭილაძეების, წერეთლების და ე. ბეჟანიშვილის წიგნების მაღაზიებში და ყვიოილამი—თვით გამომცემელთან.

1. საეკლესიო და ღვთის-მსახურების წიგნები.

1. ლოცვანი ნახატებიანი, გამოცემა მესამე. მართლ-მადიდებელი ეკლ. უმთავრესი დღესასწაულების ისტორიული მოთხრობით. ამ ლოცვანში არის მთელი წლის ტროპარ-კონდაკები, სერობა, პარაკლისი ღვთის-მშობლისა და ზიარების ლოცვა. აგრეთვე ამ ლოცვანს სრულს თვეთა მეტყველებაში არიან ჩართულნი საქართვ. ყმიდანები მათი ისტორიული მოთხრობით და ტროპარ-კონდაკებით. ფ. ყდით 50 კ. და უყდოთ . . . 40 კ.
2. წესი სნეულის ზიარებისა და ერცელი პანაშვიდისა, ფასი . . . . 10 კ.
3. Оცხალთა და გარდაცვლებულთა მოსახსენებელი კონდაკი (კარგის ყდით) ფ. . 30—

2, სასწავლო და სახელმძღვანელო წიგნები.

1. დარიგება საღმრთო სჯულის სწავლებაზე, რომელიც ოწმ. ანიდისაგან მოწონებულია როგორც სასწავლო საღმრთო სჯულისა საეკლესიო-სამრევლო და სხვა პირველ დასწყის სკოლებში—ფასი . 30 კ.
2. იკიეე დარიგება საღმრთო სჯულის სწავლაზედ რუსულს და ქართულს ენაზე ხმის ამაღლებ-ს ნიშნებით—ფასი . . 50 კ.
3. დაწყებითი გაეგერილები საღმრთო სჯულის სწავლებაზე, ფასი . . . 15—
4. ახალი სასულიერო კონსისტორიათა წესდებულება—ფასი . . . 40 კ.
5. ღვთეოლთთეის საიდუმლოების შესრულების დროს საჭირო სახელმძღვანელო წიგნი—ფასი ყდით . . . . 20 კ.
6. საქართველოს საეკლესიო ისტორია ფასი 45 კ.

3. სამკურნალო წიგნები და დარიგება ჯანმრთელობის დაცვაზე.

1. ახალი კარაბადინი, მეორე გამოცემა დამატებით, რომელიც განხილული, მოწონებული და ნება-დართულია კეკესიის საეკმო რჩევისაგან—ფასი . . . 1 მ.
2. დარიგება მხედველობის დაკვასა და თვალების მოვლაზე, ფასი . . . 10—
3. ჩვენებური «ბატონები» და ექიმების ბაცილები და ბაქტერიები . . . . 5 კ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. საუფლო და ღვთის-მშობლის დღესასწაულების ადწერა ზნეობრივ სწავლა დარიგებით.

1. ღვთის-მშობლის დაბადება, სურათით . 2—
2. ტაძრად მიყვანება ღვთის-მშობლისა, ფ. . 2—
3. ამაღლება პატიოსნისა და ცხოველს-მყოფელისა ჯვარისა, სურათით . . 2—
4. შობა უფლისა . . . . . 2 კ.
5. მირძვა უფლისა, სურათით.—ფასი . 2—
6. ხარება პეტლად წმიდა ღვთის-მშობლისა 2—
7. ბზობა სურათით—ფასი . . . 2—
8. აღდგომა სურათით—ფასი . . 2—
9. მიძინება ყოველად წმ. ღვთის-მშობლ-სა, 2—

6. მოთხრობანი დაბადებიდან.

1. მეფე სოლომონ-ბრძენი სურათით—ფ. 5—
2. მათერი (მოთხრობა დაბადებიდან) სურ. 5—
3. სიბრძნე ია ძისა ზირაქისა, სურათით. . 5—
4. იოსები . . . . . 5—

7. მოწამენი, ღირსნი მამანი და დედანი საქართველოს ეკლესიისა, შესანიშნავნი საქართველოს მეფენი და დედოფალნი,

1. წმიდა მ-წამე რაჟდენი, სურათით, ფასი . 5 კ.
2. წმ. ნინო ქართველთ განმანათლებელი 2—
3. მეფე დავით მესაძე აღმაშენებელი . 5—
4. თამარ მეფე, სურათით . . 5—
5. გიორგი ძთაწმიდელი . . . 10 კ.
6. იოანნე ზედაზნელი . . . 5 კ.
7. შუშანიკი . . . . . 3 კ.
8. ქეთევან დედოფალი . . . 2 კ.
9. არჩილ და ლეონარსები . . . 5 კ.
10. მეფე დავით III აღმაშენებელი , 5 კ.

8. რელიგიური და ზნეობრივი შინაარსის წიგნები.

1. წმიდანი მღვდელ-მთავარნი: ბასილი დიდი, გრიგოლი ღვთის-მეტყველი და იოანნე ოქროპირი, სურათებით — ფასი 5—
2. როგორ უნდა ემარხულობდეთ —ფასი . 3—
3. ცხოვრება წმ. პოლ. სწორის დიდის მთავარის ელადიმირისა . 2—
4. ანდრია პირველწოდებული, ისტორიული პოემა აკაკესა, ფასი . . . 5—
5. სიკეთილი მართლისა, პოლტოელი პილატეს მეუღლის წერილი . . 5—

ხატები და მხატვრობანი.

იმექონებიან პატარა ფაფ-ფასიანი ხატები ფიცარზე სამ-ოთხ გოჯიანი ფასი 10 კ. ხატები არის: მაცხოვრის, ეფერიის ღვთ-ს-მშობლისა, წმიდა გიორგის, ანდრია მოციქულის, პირველ წოდებულისა და ათ თორმეტთა დღესასწაულთა. ეინც დიბარებს ხატებს არა ნაკლებ ოცისა, იმათ ჩვენს საქართველოშა ყველგან ფოსტის გასაგზავნი არა გარდახდება ამასთან იმექონება სქელ ქალალდზე ნახატი წმიდა ნინანი, საქართველოს განმანათლებელნის ეარაყეთ 8+7 გოჯიანი ფასი 20 კ. ფოტო-ტიპითა დახატულა წმიდანი მთავარ-მოწამენი დავითი და კონსტანტინე 6+5 გოჯიანი ფასი 5 კ. ამვე ზომისა და ამისთანავე სახეთ წმიდა ნინო ქართველთ განმანათლებელისა და დავით აღმაშენებელისა ფ. თითოსი 5 კ.

ეინც ზემოთ აღნიშნულ წიგნებს გამოიეერს არა ნაკლებ ერთი თუმნისა, ძს მანეთზე დავითმობა 20 კ. ეინც ორ კაპიკიან წიგნაკებს დიბარებს არა ნაკლებ ასი ცალისა, ის ფოსტით გაგზავნა არ იხდის.

იმექონება აგრეთვე ძრაველ პატარა გულსაკიდი ხატები ფერკადუალი ლითონისა, ხანელდობა: ნინოსი, დავით და კონსტანტინესი, დავით აღმაშენებელისა, თამარისა, ანდრია პირველ-წოდებულისა და წმიდა გიორგისა, ფასი თითოსი 5 კ. ეინც ასს დიბარებს ნაღდ ფულზე, მას გაგზავნით დავითმობა სამ მანეთად.ესეთი იმექონებიან ეერცხლისაც, ფ. 40 კ.

11. მხატვრობანი სასულიერო და საერო მოდგაწეთა.

1. შოთა რუსთაველი . . . 25 კ.
2. აკაკი წეროთელი . . . . 25 კ.
3. თაქარ ძეფე . . . . . 25 კ.

შინაარსი:

სალიტერატურო განყოფილება: ერთი უბედური და ხალხის დამღუპველი ჩვეულება.—აზ. ბეკნა ვაზ. ჩხეიძე.—სამგვარი სიკვდილი.—საქართველოის ძველიდროის თავგადასავალი.—ახალი ამბები და შენიშვნები.—მათხოვრის დედათა სავანის ქვითკირის ეკლესიის გვემა.—საეკვო კითხვების განმარტება.—შეწირულებანი.—რედაქციის პასუხი.
— განცხადებანი.

Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 19 сентября 1896 г. ✦ Цензоръ прот. Е. Еліевъ.

Типог. редакціи журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. бр. Хананових, на Нѣмецкой ул.